F329w 11902
182/1923 12.
~~1667.~~

წითელი არმიელი

ფასი 5000 მანეთი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ, მასალები მიიღება რედაქციაში 9—3 საათ. ყოველ დღე
რედაქც. მისამართი:
სახ. სამხ. კ-ს შენ. პირ. ს რთ. რუსთაველის პრ. № 31

ორშაბათი 1 იანვარი 1923 წ.
წელიწადი მესამე

№ 181 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო. № 181

საახალწლოდ.

1922 წელი დასრულდა...

გადავედივართ ახალ-მორიგე წელში 1923 ში.

საჭიროდ მიგვაჩნია მოკლეთ, ერ[illegible]ლის გადავლებით განვიხი[illegible] პოლიტ[illegible] გაკეთდა სოცია[illegible]ლიუციის გასაღრმა[illegible]-წლის განმავლობაში, [illegible]ოთა რესპუბლიკებში, [illegible] გარეთ და როგორ ქართულ შეერებსხუნდა ველოდოთ მოთხოვთ რათა გ23 წელში.

№ 302.

ამხ. წითელ

ინტერესებული 1922 წელი საბჭოთა რეს[illegible]ათვის გა[illegible]ბლიკების ისტორიაში აღინიშნე[illegible]ებს [illegible], როგორც წელი საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობის გაჩაღების, როგორც წელი მსოფლიო თუ სამოქალაქო ომებით დანგრეულ-გაპარტახებულ მრეწველობა-სასოფლო მეურნეობის საქმის მოგვარება-აღორძინებისა, როგორც წელი საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკურად გაძლიერებისა ერთი მხრივ, როგორც დასავლეთ ევროპის მტაცებელ კაპიტალისტთა თვალში ისე, მეორე მხრივ მთელი მსოფლიოს რევოლიუციონურ პროლეტარიატის თვალშიაც.

საბჭოთა რესპუბლიკები, რომლებიც გამარჯვებით გამოვიდნენ სამოქალაქო ომის ცეცხლიდან, რომ შეენარჩუნებიათ ეს გამარჯვება უნდა გაძლიერებულიყვნენ ეკონომიურად, რადგან ეკონომიურად გაძლიერებას მოსდევს პოლიტიკურად გაძლიერებაც; და მართლაც ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებით საბჭოთა რესპუბლიკები ისე გაღონიერდნენ და გამაგრდნენ ეკონომიურად, რომ თვით იმპერიალისტური ანტანტაც კი მის ანგარიშს უწევს და ყრის, რა მის წინააღმდეგ იარაღს, ლამობს მასთან ჩამოაგდოს მშვიდობიანობა — ზავი, რასაც, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, უკარნახებია მას, მისი მსოფლიო ომით ძალზედ შერყეული ეკონომიური მდგომარეობა.

საბჭოთა რუსეთთან ზავის ჩამოგდებისა და სავაჭრო ხელშეკრულებების დაჭერის მიზნით, ანტანტა იწვევს მას გენუას და ჰააგას კონფერენციებზე და თუმცა-ღა ეს კონფერენციები უშედეგოთ დასრულდა, მაგრამ ის ფაქტი, რომ ამ კონფერენციებზე დიდ და სერიოზულ ყურადღებას აქცევდნენ საბჭოთა რუსეთს და მის წარმომადგენლებს, ღაღადებს მას, რომ ანტანტა, საბჭოთა რუსეთს უყურებს, როგორც დიდ ფაქტორს ძლიერებისა ყოველივე დარგში.

მართალია ვერ ვიტყვით ჩვენ მას, რომ თითქას 1922 წელი რუსეთისთვის იყოს სრულ სიმპოლო ეკონომიურ თუ პოლიტიკურ ძლიერებისა, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ საბჭოთა რესპუბლიკებს ემჩნევა ტენდენცია ცხოვრების ყოველივე დარგში უფრო და უფრო გაძლიერებისა.

და აი კიდეც, ეს გვაძლევს საბუთს იმის თქმის, რომ მომავალი 1923 წელი იქნება, ისეთი წელი, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურად აღორძინების საქმეს გამარჯვებით დაგვირგვინებს, მით უმეტეს, რომ ამის გარანტიას იძლევა ეხლახან დაარსებული საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, სადაც თითქმის ყველა საბჭოთა რესპუბლიკები იყრიან თავს და სადაც ერთიანი ფრონტით და ძალ-ღონით გამომუშავებული იქნება საუკეთესო საშუალებები ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლათ.

სულ სხვა სურათია კაპიტალისტურ სახელმწიფოებში. მაშინ, როცა საბჭოთა რესპუბლიკები აღორძინების გზაზე დგანან და აქვთ ტენდენცია ამ შემთხვევაში უფრო გაძლიერებისა, კაპიტალისტური სახელმწიფოები მეტად უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან. მათი მეურნეობა, რომელსაც მძიმე დაღი დაასვა მსოფლიო ომმა, ჯერ კიდევ ვერ მოკეთებულა და ვერც გამოკეთდება, რადგან ამისთვის არის ისეთი მიზეზები, როგორიც მაგ. უმუშევრობა, მუშების მძიმე მატერიალური მდგომარეობა, მრეწველობის კრიზისი, და რაც თავი და თავია აქა იქ ომები და კიდევ მეტი ხელახლავ მსოფლიო ომის მოლოდინი.

ამ უკანასკნელის შესაძლებლობის შანსებს გვაძლევს ჩვენ ლოზანის კონფერენციაზე შექმნილი მწვავე მდგომარეობა და სხვა.

მაშასადამე მომავალ წელში, ჩვენ ვიწინასწარმეტყველოთ აქედანვე, რომ მოხდება საბჭოთა რესპუბლიკების უფრო კიდევ გაძლიერება, როგორც ეკონოურად ისე პოლიტიკურადაც, ხოლო კაპიტალისტური სახელმწიფოები კიდევ უფრო დაუძლურდება ყოველ მხრივ.

სიტყვა ეხება მსოფლიო ომის შესაძლებლობას.

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მას, რომ მესამე კომინტერნი, რომელიც თან და თან თავის დროშის ქვეშ, რაზმავს ყველა ქვეყნების უკვე გამოფხიზლების გზაზე დამდგარ პროლეტარიატს, მაშინ ადვილია თქმა იმისა, რომ მსოფლიო ომი, თუ კიდევ მას ყაჩაღ კაპიტალისტების წყალობით წამოყო თავი, ჩაქოლილი იქნება რევოლიუციონურ მუშათა კლასის მიერ.

რადგან ასეთია კარნახი, მათი თან და თანობით გამოფხიზლების და კომინტერნის გარშემო დარაზმვისა.

საქართველოს წითელი ლაშქარიც თავის უფროსი ძმა რუსეთის წით. არმიასთან ერთად, ფხიზლად იქნება თავის სადარაჯოზე და 1923 წლის მშვიდობიან მუშა-ბას საბჭოთა რესპუბლიკებისას, ყოველთვის დაიცავს ყველა ყვავ-ყორნებისაგან.

გაუმარჯოს 1923 წლის ჩვენს მუშაობას, გაუმარჯოს უძლეველ წ. არმიას.

1922—1923 წლების საზღვარზე.

1922 წლის უკანასკნელი დღეები მეტად მრავალ-მეტყველ სურათს წარმოადგენენ.

თანამედროვე ძალთა ჭიდილის ჟამს, როდესაც მთელი დედამიწის ბურთი გახვეული არის ჩუმი, თუ აშკარა სამოქალაქო ბრძოლაში ორ დიდს სამყაროს შორის ისმება საკითხი: ვისი მესაფლავე იქნება მომავალი 1923 წელი. ვის უფრო მეტი შანსები აქვს მომავალ გამარჯვებაზე?—დახავსებულ იმპერიალიზმს, რომელიც ისტორიული სიკვდილის უკანასკნელ ბრძოლებში შეიპყრო, თუ ძლევა-მოსილ პროლეტარიატს, რომლის რიგები დღითი დღე იზრდება, ერეკება სოციალისტური რევოლიუციის გზაზე და წინ შეუჩერებლივ მიექანება ბრწყინვალე მომავლისაკენ.

1922 წელი მეტად მდიდარი იყო საბჭოთა რესპუბლიკებს დაუღალავი ბრძოლის მრავალი ეპიზოდებით, ეკონომიური და შიმშილობის ფრონტზე. თუ შარშან ამ დროს ჩვენ წინ გვედგა ჩვენი შინაური და გარეშე ცხოვრების მეტად სახიფათო და ძნელი სავალი გზა, დღეს ერთი წლის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, რომ ეს ძნელი გზა სანახევროდ განვლილია, მრავალი დაბრკოლებანი გადალახულია და 1923 წელში ჩვენ შევდივართ გაცილებით მეტი მტკიცე გარანტიებით, ჩვენი პროლეტარული სახელმწიფოს ასაღორძინებლად.

1922 წელს დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხელისუფლების ისტორიაში. ამ წელში ჩვენ შევძელით გამარჯვება შიმშილობის ფრონტზე, აღვადგინეთ თითქმის მთელი ტრანსპორტი და აღორძინების გზაზე დავაყენეთ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ღედა-ბოძი, მსხვილი მრეწველობა.

ეხლახან დასრულებული საბჭოების მეათე ყრილობამ, ნათელ-ჰყო ეს წარმატება ჩვენი ეკონომიური ცხოვრების უმთავრეს დარგებში. ყველა ის ცნობები, რომელიც გამოქვეყნდა ამ ყრილობაზე ამტკიცებენ ჩვენი შინაური და გარეშე მდგომარეობის წინსვლას და გაძლიერებას.

ამასთანავე ერთად 1922 წელში ჩაეყარა მტკიცე საფუძველი საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირს.

მეათე საბჭოთა ყრილობაზე მიღებული იქმნა გადაწყვეტილება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნაზე. ეს უდიდესი აქტი საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრებაში კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ საბჭოთა ძალა-უფლებას კი არ ეთხრება ძირი, დაიშლება დაიქსაქსება მისი ძალები, არამედ მის საძირკველი დღითი-დღე მტკიცდება, მაგრდება და მატულობს მისი სიძლიერე.

ასეთია მოკლედ სურათი საბჭოთა ქვეყნების პოლიტიკურ ეკონომიური მდგომარეობის 1922—1923 წ. საზღვარზე.

ეხლა გადავავლოთ თვალი „კეთილ შობილ ანტანტას. რას წარმოადგენს ის დღეს! ადგია თუ არა ისიც აღორძინების, პროგრესის გზაზე უმჯობესდება თუ არა მისი მდგომარეობა? თამამად შეგვიძლია ვსთქვათ რომ- არა.

მწვავე ეკონომიური კრიზისი, რომელშიაც გაიხლართა იმპერიალისტური სახელმწიფოები, დღითი დღე იზრდება, ღრმავდება და მთელი კაპიტალის კონტინენტზე ჰქმნის ისეთ პოლიტიკურ ქაოსს, რომლის [illegible] ვერ ძალუძს კაპიტალის [illegible]ულებს. დღემდისაც, მსოფლიო ომის შემდეგ წამოჭრილი ზავის პრობლემა არ არის მოგვარებული და გადაჭრილი. იმპერიალიზმის ცდები მოაწესრიგოს ყველა ეს საკითხები, რომელიც წარმოშვა მსოფლიო ომმა, როგორიც არის სარეპარაციო საკითხი, საერთაშორისო ვალები; ამ სხვა და სხვა კონფერენციების საშუალებით, უნაყოფოთ თავდება და ზავის საკითხი დღითი დღე შორდება რაიმე დადებითი გადაჭრას. ამის გამო იზრდება ეკონომიური და ფინანსიური კრიზისი კაპიტალის სამეფოში რასაც მოსდევს წარმოების შეჩერება, უმუშევრობა, შიმშილი და შინაური კონფლიქტები ანტანტის სახელმწიფოთა შორის. მაშასადამე, ოდესღაც ძლევა მოსილი „ანტანტა“ თან დათან იხრწნება, იშლება და მიექანება აუცილებელი კატასტროფისაკენ.

ყოველივე ამის შესახებ თავში დასმულ საკითხებს ჩვენ შეგვიძლია თამამად ვუპასუხოთ! მომავალი პროლეტარულ სახელმწიფოებისა. საჭიროა მეტი ენერგია, ძალების დაჭიმვა, რომ მომავალ წლის თავზე დარჩენილი ნახევარიც ჩვენ გავლოთ მეტი ნაყოფით, ნაკლება შეცდომით და სამუდამოთ განვამტკიცოთ ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიური აპარატი.

ლ—ძე.

[illegible]

გამომშვიდობება

ზღვა წითელი დროშებისა.

ნაცრის ფერ ყაზარმებში გახვეულ სახეების ღიმილი..

სიტყვები:

მილოცვები..

სურვილი [illegible] მუშაობისა.

განახლებულის და გაათასკეცებული ძალით შეხვედრა მომავალ წლისა.

თავდადებული დაცვა ყოველგვარ მტრისაგან მუშურ გლეხურ სახელმწიფოსი.

აი როგორი იყო სურათი [illegible]გიონში.

ჯგუფები წითელ არმიელებისა ყოველ პოლიტიკურ მომუშავის გარშემო. ის უყვება მათ თუ რა უბედური და საშინელი წლები უთენდებოდა ქართველ მშრომელ ხალხს წინეთ და ეხლა-კი, რას მოელის ის ახალწლისაგან. ნაწილი წითელი არმიელებისა მიემგზავრებიან შინ, რათა ცოდნით, რომელიც მათ შეიძინეს წითელ ყაზარმაში, ლაეხმარონ სოფელს.

წამსვლელთა და დარჩენილთა შორის არის წუხილი განშორებისა, რადგან ისინი შეეჩვივნენ წითელ ყაზარმაში ცხოვრებას... შეიგნეს, განვითარდნენ, რომ ვინ იყვნენ და ვინ არიან.

სწუხს სამხედრო კომისარიც. რადგან მას სცილდება მასთან შეზრდილი წითელი მხედრები, მაგრამ იმედს არ კარგავს, იცის რომ ისინი ისეთივე დამცველნი იქნებიან საბჭოთა ხელისუფლებისა შინ, როგორიც იყვნენ ყაზარმაში...

შეხვდნენ ერთი მეორეს ორი ფარაჯაში გახვეულნი, ისინი მეზობლები, ერთი სოფლიდან, თითქმის მოკეთეები.

—მიდიხარ სოსო არა? შეეკითხა დავითი.

—[illegible], მივდივარ,

მე კი ვერა.

რათა?

—კაცო! ი, ოხერი და მუქრეგი, ძაან მეშინოდა ბოლშევიკებისა და, ჯარში აღარ გამოვცხადდი თავის დროზე- მერე, როდესაც, დავიგვიანე ვიფიქრე, დამხვრეტენ მეთქი, მაგრამ აი აშენდა [illegible] გამოაცხადეს. რომაო ვინცა იდეზერტირაო გამოცხადდენ და არაფერს დაუშავებთო. ო და, მე და გიგლაც ჩამოველით მთებიდან და გამოვცხადდით. ა ტა ტა ტა ტა... რომ მცოდნოდა ბოლშევიკები ეგეთი ხალხია, აბა იმდენ ხან მთებში გვერდებს რად გავიცივებდი? ეამე ვა მეე, ეხლა მეც თქვენთან წამოვიდოდი და სიმონიანთ მაყვალას ვნახავდი, თანაც კარგი წერაკითხვა მეცოდინებოდა! მაგრამ ეხლა ისე ერთგულად ვისწავლი, რომა ძველებს არც მე ჩამოვრჩები. ერთ თვეში იქნება კიდეც გაუსწრო.

დედას უთხარი, რომ ნუ მოიწყენს, მეც მალე დავბრუნდები თქო ოჯახში.

წერილი არ გაგიმზადებია დავით?

ო, როგორ არ, დავწერე ჩემივე ხელით, ცოტა ვერ არის კარგად, მაგრამ რა უყო, როგორც ვიცოდი ისე დავწერე.

აბა მოიტა.

ე, წერილი დედას გადაეცი შენი ჭირიმე, სიმონიანთ მაყვალა თუ ნახო იმასაც მოკითხვა გადაეცი, დიდი მოკითხვით.

მშვიდობით სოსო.

ნახვამდის...

და ორი ერთმანეთთან შეზრდილნი გადაეხვივნენ ერთი მეორეს.

ალე.



— საბჭოთა მეათე ყრილობას დესწრო გადამწყვეტი ხმით 1217 დელეგატი და სათათბირო ხმით 510 დელეგატები.

— პუანკარეს განზრახული აქვს რათაც არ უნდა დაუჯდეს მოახდინოს რურის ოლქის ოკუპაცია.

— ეგვიპტეში ეროვნული მოძრაობა თანდათან ძლიერდება.

— [illegible]ოლონიის ქ. [illegible]ში ქარხნის მუშა-მოსამსახურეთათვის ხელფასის 4 პროც. გადიდების შემდეგ [illegible] გაფიცვები შეწყდა-

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შედეგები

რევოლიუციის მტრები ყოველ გზაჯვარედინზე გაიძახიან, რომ ბოლშევიკები დამარცხდენ, წინანდელი მიზანი მიივიწყეს, უარჰყვეს მუშური სახელმწიფოს აშენება, რადგან ვერ შესძლეს და ეხლა შემოიღეს ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რის შედეგათ ხდება წინანდელ ბურჟუაზიულ ურთიერთობის აღდგენაო.

მეტად საინტერესო და თან ყველასათვის საჭირო ყოველმხრივ გაირკვეს ყველა ზემოჩამოთვლილი საკითხი, რომ გაიფანტოს ის ცრუ შეხედულებანი ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, რომელნიც დაჟინებით ვრცელდება მუშათა და გლეხთა მტრების მიერ.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა ვრცელდება სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყოველ დარგზე. ჩვენთვის სასურველია აღვნიშნოთ მისი გავლენა სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმთავრეს მამოძრავებელ დარგებზე. სახელმწიფოს არსებობის უმთავრესი დარგები არიან: მრეწველობა, სასოფლო მეურნეობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი, ფინანსიური ოპერაციები და სხვა.

ვინაიდან საგაზეთო წერილში ყოვლად შეუძლებელია ვრცლად ზემოხსენებულ საკითხებზე პასუხის გაცემა, ამისათვის ჩვენ ვეცდებით ერთი თვალის გადავლებით მკითხველს მივცეთ შედარებით მთლიანი სურათი იმისა, თუ ახალი ეკონომიური პოლიტიკა, როგორ აძლიერებს საბჭოთა მეურნეობას და ამზადებს მტკიცე ნიადაგს საზოგადოებრივი ცხოვრების კომუნისტურ საფუძვლებზე გარდასაქმნელად.

მაშ შევუდგეთ.

მრეწველობა

სახელმწიფოს ეკონომიკის არსებობის უმთავრეს ღერძს წარმოადგენს მრეწველობა. ფაბრიკა ქარხნების, მაღაროების და სხვა ეკონომიურ ორგანიზაციების სარგებლიანათ ამოქმედება არის უმთავრესი პირობა ეკონომიური წარმატებისათვის.

სამოქალაქო ომის დროს საბჭოთა ხელისუფლება ეკონომიურ ორგანიზაციებს და წარმოების პროდუქციის ამოქმედებას და დაგროვებას ერთის მხრივ და, მათ დანგრევას განიავებას მეორეს მხრივ, უდგებოდა არა ეკონომიური წარმატება—აღორძინების თვალსაზრისით, არამედ წმინდა სტრატეგიული მოსაზრებით. ამისათვის სამხედრო კომუნიზმის პერიოდში, ეკონომიკის აღორძინებისათვის მიზანშეწონილი პოლიტიკის წარმოება ყოვლად შეუძლებელი იყო.

სამხედრო ფრონტების მოშორების შემდეგ შეიქნა შედარებითი მშვიდობიანი მდგომარეობა.

ამ პირობებში შესაძლებელი გახდა, გარემოებისა და სოციალურ ძალთა ურთიერთობის მიხედვით, წარმოებულიყო ისეთი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც ფეხზე დააყენებდა და განვითარების წინსვლელობას მისცემდა მუშურ სახელმწიფოს სრულიად გაპარტახებულ ეკონომიკას.

ასეთი ეკონომიური პოლიტიკა იყო ეგრედ წოდებული, ახალი ეკონომიური პოლიტიკა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის მიხედვით პროლეტარულ სახელმწიფოს განკარგულებაში დატოვებულია მიწა, ტყეები, საგარეო ვაჭრობა, რკინის გზები და მრეწველობის ყველა დანარჩენი დარგები.

ვინაიდან პროლეტარულ სახელმწიფოს დღევანდელ პირობებში არა აქვს შესაძლებლობა აამოქმედოს ყველა წარმოებანი თავისი ძალ ღონით, ამისათვის იჯარით აძლევს კერძო მეწარმეებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს იმ წარმოებებს, რომელთა ამუშავება მოითხოვს მათ განახლებისათვის დიდ ძალი თანხების გაღებას, თვით კი ხელმძღვანელობს ეკონომიკის უმთავრეს დარგებს

მაგალითად ეხლა საბჭოთა ფედერაციის მთავრობას აქვს 430 ტრესტი, რომელიც აერთებს 4100 წარმოებას. სახელმწიფოებრივ წარმოებაში ჩაბმული მუშების რიცხვი 3 მილიონ კაცს უდრის. იჯარით გაცემულია 3 534 წარმოება. აქედან 50 პროც. გაცემულია კერძო კაპიტალისტებისათვის საექსპლოატაციოთ. იჯარით გაცემულ წარმოებაში ირიცხება დაახლოებით 70.000 მუშა. განსაკუთრებით იჯარით არის გაცემული წვრილი და საშუალო წარმოებანი, ხოლო მსხვილი წარმოება კი [illegible] სახელმწიფოს ხელშია, ვინაიდან ის არის მთელი ტონის მიმცემი სახელმწიფოებრივი ეკონომიკის სიძლიერისა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების მომენტიდან მთავრობა თითქოს არ ეხმარება მრეწველობას ფინანსიურათ და ყოველი წარმოება იძულებული შეიქნა, თავისი საშუალებებით ეწყო არსებობა. წარმოების მოქმედებისათვის საჭირო იყო დიდძალი თანხები და ამისათვის გაიტანეს კერძო ბაზარზე თავიანთი წარმოების პროდუქტები, დასტრიალებელი თანხის შექმნის მიზნით. გაჰყიდეს გაცილებით უფრო იაფათ ვიდრე ისინი ღირდენ. ამასთან ერთად სახელმწიფოს სრულიად უფასოდ აძლევდენ პროდუქტებს მთელი რვა თვის განმავლობაში. ყველა ეს პირობები მძიმე მდგომარეობაში აყენებდა ჩვენს მრეწველობას, მაგრამ ეხლა მდგომარეობა გაუმჯობესდა. „წარმოების ყველა დარგებს ემჩნევა არაჩვეულებრივი ზრდა. რაიც განსაკუთრებით აშკარაა ჩვენს მსუბუქ ინდუსტრიაში. უკანასკნელის ნაყოფიერება 1920 წელთან შედარებით გაიზარდა ერთნახევრიდან ოთხჯერ. დიდ გამარჯვებას მიაღწია აგრეთვე საფეიქრო მრეწველობამ, რომლის ნაყოფიერება გაიზარდა 3 ნახ.-4 ჯერ და აღწევს ომის წინა ნორმის 50 პროც. მწვავედ სდგას ნედლი მასალის საკითხი.

რეზინის მრეწველობის ნაყოფიერება 1920 წელთან შედარებით 482 პროცენტით გაიზარდა, თამბაქოსი—187 პროცენტით. უკანასკნელის პროდუქცია უდრის ომამდე არსებული პროდუქციის 80 პრ.

მძიმე ინდუსტრია ძალიან ჩამორჩა მსუბუქ ინდუსტრიას, მაგრამ აქაც ერთგვარი წარმატება ემჩნევა 1920 წელთან შედარებით. თუჯის და სხვა ლითონების ამოღება ერთი ნახევარ ჯერ გაიზარდა. ურალის მრეწველობამ თავისი პროგრამა ორ ჯერ გადაფართოვა—2-8 მილ. ფუთამდე. პეტერბურგის მძიმე ინდუსტრიას, განსაკუთრებით მეტალურგიას—გამოცოცხლება ემჩნევა.

სათბობ მასალათა ფრონტზე მიღწეულია მნიშვნელოვანი გამარჯვება. 1920 წელთან შედარებით ნახშირი [illegible] 121 [illegible] ამოღებულია 120 პროც. [illegible] პროც. ნახშირის ამოღება უდრის ომამდე არსებულ ნორმის 34 პროც. ნავთის—49 პროც. ნავთის მრეწველობა ფართოდ არის დაყენებული. სათბობ მასალის დამზადების გეგმა 100 პროცენტით არის შესრულებული.

ელექტროფიკაციის სფეროში სწარმოებს დიდი მუშაობა. დამთავრებულია სადგური „კაშირსკაია“ და „წ. ოქტომბერი“; გახსნილია ორი ახალი ელექტრონის სადგური მოსკოვის რაიონში. გრძელდება მუშაობა ვოლხოვში, ნიჟნი-ნოვგოროდში, ჩელიაბინსკში და სხვა ადგილებში. დაწყებულია მუშაობა დონის აუზის ცენტრში „შტერის“ სადგურის მოსაწყობათ. განზრახულია დნეპრის „პორგების“ გამოყენება ელექტროფიკაციის მიზნით. მახლობელ 4 წლის განმავლობაში ჩვენ ავაშენებთ 8—9 მთავარი სადგური.

აი უმთავრესი შტრიხები რაც გაკეთდა მრეწველობის დარგში.

ყველასთვის ნათელია ამ სურათიდან თუ საბჭოთა მრეწველობა როგორ თანდათან ფეხზე სდგება და იძლევა დიდ იმედებს მისი განვითარებისა გაფანების კიდევ უფრო გაძლიერების ს.

სასოფლო მეურნეობა.

საბჭოთა ფედერაცია წარმოადგენს განსაკუთრებით აგრარულ ქვეყანას

ეროვნული ბიბლიოთეკა



მუშა გლეხმა, არმიელმა
დაამარცხეს ძველი წლები
და სამარეს მიაბარეს
ბატონ, ღვდელი, მეფენი

ახალი წელთ უთენდიბით
მათ ცხოვრების კარგი ხანა
დიდხანს აღარ დააყოვნენ
ხელთ ჩაიგდონ მთლად ქვეყანა.

— იტალიის მთავრობამ პრინციპიალურად გადასწყვიტა გააუქმოს მეფის გვარდია.

— ჩეხო-სლავიაში ფაშისტები ეპირებიან სახელმწიფო გადატრიალებისათვის.

— ტიროლში ადიჯეს იტალიასთან შეერთების სამი წლის თავზე ინსბურგში გაიმართა დემონსტრაცია, იტალიელების წინააღმდეგ.

ლოზანის კონფერენცია

შემათანხმებელი კომისია.

— შემდგარია შემათანხმებელი კომისია მოკავშირეთა დელეგაციების და ექსპერტების წარმომადგენლებისაგან, რომელიც მოკავშირეთა ხელშეკრულებას გაუკეთებს რედაქციას. რამდენიმე დღის შემდეგ ხელშეკრულება მისაღებად ან უარსაყოფად წარედგინება ოსმალეთის დელეგაციას.

კაპიტულიაციის საკითხი.

დღევანდელ სხდომაზე კაპიტულიაციის საკითხის შესახებ ლორდ კერზონმა და მოკავშირეთა დელეგატებმა გამოსთქვეს ამ საკითხის შესახებ თავიანთი მოსაზრებანი. შემდეგ მათ გრძელი შინაარსიანი სიტყვით პასუხი გასცა ისმეტ-ფაშამ. სხდომა დაიწყო ინგლისის უმაღლესი კომისრის რუმბოლდტის მოხსენებით, რომელიც ამტკიცებდა, რომ ოსმალეთსა და მოკავშირეთა შეუთანხმებლობის მიზეზი უნდა ვეძიოთ ოსმალეთში არსებულ უფლებრივ მდგომარეობაში, რომლის შეცვლის საჭიროებას ოსმალები უარყოფენ. ქვეკომისიის თავმჯდომარემ გარსონმა განაცხადა, რომ კაპიტულიაციის რეჟიმის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც უცხოელთა მოქმედებისათვის და გასამართლებისათვის შემოღებული იქნება გარანტიების ახალი სისტემა. ისმეტ-ფაშა გრძელ სიტყვაში იცავდა ოსმალეთის თვალსაზრისს.

ჩვენს წითელ ჯარში

სამოსწავლო ძირითადი ათასეული საგარაკოდ.

როდესაც ჩვენი ათასეული ჩამოვიდა ქ. სურამში საագარაკოთ, სურამის ადგილობრივი მცხოვრებლებს პირველ ხანში შეატყობდით სახეზე, რომ ჩვენი მოსვლა არ ესიამოვნათ. ამ დროს ჩვენი წითელი არმიელები გახურებულ მუშაობაში იყვნენ, აწყობდნენ და აწესრიგებდნენ თავიანთ საბინაო კარვებს. ამ მუშაობამ გასტანა ორი კვირა და ამ დროის განმავლობაში ჩვენც მოვათავეთ ჩვენი კარვების მოწყობა. რის შემდეგ საშუალება მოგვეცა გაგვეცნო ადგილობრივი მცხოვრებთათვის წითელი არმიელების ვინაობა. წითელი არმიელები გამოდიოდნენ მეცადინეობის შემდეგ საღამოობით სამხედრო მუსიკით. იმართებოდა ცეკვა, თამაში, სიმღერა, მხიარულება, რამაც ხელი შეუწყო ადგილობრივი მცხოვრებთა დაახლოვებას წითელ არმიელებთან. სწრაფად დაეტყო სიცოცხლის სახე მთელს არე მარეს. ამასთანავე პარტბიუროს ხელმძღვანელობით არჩეულ იქნა შაბათობის მომწყობი კომისია, რომელსაც მეთაურობდა ამხ. ხახნელიძე. კომისიამ დიდი ყურადღება მიაქცია სურამსა და სურამის გარშემო მდებარე სოფლების უღარიბეს გლეხობის გამოუვალ მდგომარეობას. კომისიის მოწოდებისამებრ წითელ არმიელები სწრაფად და დაუზარებლად შეიკრიბნენ და გაემგზავრნენ სიმღერით ღარიბ გლეხების სიმინდების გასათოხნად. შაბათობა მოეწყო სულ სამჯერ. გაითოხნა შაბათობის საშუალებით დაახლოვებით 70 დესეტინა სიმინდი. ასეთმა მოქმედებამ ჩვენი წითელი არმიელებისამ გლეხები უკვე საბოლოოდ დარწმუნდა რომ წითელი არმია და საბჭოთა ხელისუფლება არის მათი დამცველი.

ამასთანავე სამ სექტემბერს მოეწყო სურამის ალმასკომის დახმარებით მახლობელ სოფლების გლეხების მიტინგი, სადაც მოხსენება გააკეთა ჩვენი ათასეულის სამხკომმა ამხ. ალ. ობოლაძემ, საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელობაზე. შეეხო აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობას და გენუის კონფერენციას. სიტყვა წარმოსთქვეს ჩვენი ათასეულის, რამოდენიმე ამხანაგებმა და ალმასკომის თავმჯდომარემ. მომხსენებლების სიტყვებმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელთა შორის. მიტინგის დათავების შემდეგ, ჩვენი ათასეულის დრამატიული წრის მიერ სურამის საზაფხულო თეატრში ახალ გაზრდა კომკავშირების დღესასწაულის აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნა რევოლიუციონური პიესები 1) წითელი გენერალი 2) პარიზის კომუნის უკანასკნელი დღე და 3) ალ. ობოლაძის მიერ შედგენილი ახალი პიესა, სოფლის ყრილობა. წარმოდგენას უფასოდ დაესწრნენ მიტინგზე მყოფი გლეხები. სოფლის მიტინგები გაიმართა სულ სამ ჯერ. ყველა ზემოხსენებულ მოქმედებამ დაამყარა ძმური ურთიერთობა გლეხებსა და წითელ მოლაშქრეებს შორის, რაიც დაურღვეველი დარჩება.

წით. არ. ა. **ქუმსიშვილი.**

ცოტა რამ მე-2 ლეგიონის მეთაურებზე.

უნდა ითქვას სიმართლე, რომ ლეგიონის ასეულების თავები ვერ დგანან თავის მოვალეობის შესაფერის საფეხურზე. არც ერთი მათგანი არ გრძნობს, რომ ისინი მსახურობენ და პასუხის მგებელნი არიან თავიანთ მუშაობაში. ძლიერ კოჭლობს ნაწილში დისციპლინა. ყველამ ვიცით, რომ წით. არმიელთა აღმზრდელი არის მეთაურები და პოლიტ-შემადგენლობა. და თუ ისინი ვერ გამოიჩენენ მათ აღზრდაში მაქსიმუმ ენერგიას, რა თქმა უნდა წით. არმიელში ჩვენ ვერ დავინახავთ სამხედრო სულს და იმ დავალებებს, რომელსაც მოითხოვს მუშათა ხელისუფლება, მაგრამ მეთაურებმა უნდა ეცადონ ამ მხრით საქმის მოგვარებას. მათ ევალება მაქსიმუმი ენერგიის გამოჩენა წითელ არმიელების აღზრდაში იქნება ეს, სამხედრო თუ საგანმანათლებლო. ამ მხრივ უნდა მიექცეს ყურადღება ყველა პატიოსან მუშაკ მეუფროსეთა, მაშინ კი უზრუნველყოფილია ჯარში დისციპლინა და მისი სიმაგრე.

ი. გ.

შეფი არ გვნახულობს.

თბილისის მცველ მხლებელთა ათასეულის წითელ არმიელები შვილებათ ჰყავს აყვანილი, თბილისის „ხელოსანთა კავშირს“. უნდა აღინიშნოს, რომ ორ თვეზე მეტი იქნება, რაც ჩვენი მამობილი თავის შვილებს აკლებს მზრუნველობას. ნუ თუ ასე გადავავიწყდით? გარდა ამისა, რომ რაიმე დახმარება გაეწია ამ ხნის განმავლობაში, არც უნახულებია თავის შვილები; მაგრამ მე მგონია ჩვენს მამობილს ჩვენ არ დავავიწყდებით და გვინახულებს თავის საყვარელ შვილებს, რომლებიც ვდგევართ რევოლიუციის სადარაჯოზე.

სამხკორი—**მაჩიტაძე.**

პარტიული მუშაობა

პარტწმენდა ქართ. მსროლელ დივიზიაში.

(ცენტრალ. გამწ. კომისიის ცნობები)

პარტიული წმენდის შემდეგ ქართულ დივიზიაში, პარტიულ ორგანიზაციების მთელი შემადგენლობა შემცირდა **42,9** პროცენტით.

სხვა და სხვა მიზეზებით პარტიის რიგებიდან გამორიცხულთა განაწილება შემდეგნაირია: მექანიკურად გამორიცხული (წმენდის ინტრუქციის § 10 პარაგრაფის ძალით) შეადგენს 4,4 პროც. დროებით გამორიცხ.—0,9 პრ. ხოლო სრულიად გამორიცხულნი 94,7 პროც.

პარტიის რიგების გათხელება, ცალცალკე სოციალური ჯგუფების მიხედვით პროცენტულად ასეთია: მუშები-11,1პროც. ხელოსნები 4,5პრ. გლეხები - 72,5 პროც. მოსამსახურეები და სხვა—11,8 პროც.

ყველაზე უფრო დიდი პროცენტი დააკლდა გლეხობას, ამას, მიჰყვება მოსამსახურეები და სხვა ინტელიგენტური ელემენტები. შემდეგ მუშები და უკანასკნელად კი ხელოსნები,

გამორიცხვის მიზეზებით. მთელი რიცხვიდან, რომელიც დატოვებული იქნა პარტიის გარეშე, როგორც არა კომუნისტურ ელემენტების რიცხვი უდრის 9,პროც. მექრთამეობის და უკანონოდ მიკერძოებისათვის—0,2პროც. ბანდიტიზმის, ქურდობის და სხვა დანაშაულება 0,4პროც. პარტიული დეზერტირობა და სამხედრო ბეგრის თავიდან აცდენა 63,4პრ კარიერიზმი „შკურნიკობა“ და პირად სარგებლიანობისათვის ბოროტ მოქმედება—3,2პრ. ლოთობა, უწესობა და მკაცრი მოპყრობისათვის 0,8პროც. სარწმუნოებრივი წესების ასრულებისათვის 0,5 პროც. ბიუროკრატიზმის და სამსახურის გულცივად ასრულებისათვის 0,2 პროც. ინტრიგანობის 0,4 პროცენტი პარტიული სტაჟის და სიცრუის ჩვენებისათვის 0,8პროც. სხვისი შრომის ექსპლოატაცია და „კულაკობისათვის“ 0,4პროც. პარტიული ვალდებულების და დისციპლინის აუსრულებლობისათვის—2,4პრ. თანამდებობის ბოროტად გამოყენების და თვითდაკმაყოფილებისათვის 0,8პრ ყოფილ პოლიცელობისათვის და თეთრგვარდიელებთან სამსახურისათვის 1,3პრ. პარტიის პასიური წევრობისათვის (ზედმეტი ბალასტი) 11,7 პროც. სულ 95,6პროც. მექანიკურად გამორიცხულნი—4,4პრ.

ჩვენი საახალწლო მილოცვები.

საბ. მთავრობებს.
ნათელი აზრი!
და დიქტატურა!
განჭვრეტა ბასრი!
ვაშა! ვაშა!! ურა!!!

საბჭ. სახელმწ. ფედერაციას:
კავშირი ძმური
და აღმაფრენა
ჩაგრულ ერთ მაეც
ახალი ენა!

ახალ (ნეპ-ის).
შენით გაადვილედბა
მუშათ ზრახვა, მიზანი.
ო, შენს საიდუმლოსა
ვერ მიხვდება მისანი!..

მესამე კომინტერნს.
წითელი დროშა
აზღე მაღლა!
ძველ ქვეყნის რომელს
დაატყვე დაღლა!
შენ ხარ მესია,—
გელოდენ რომელს,—
ბევრჯელ უკვნესია,
შენთვის, ო, მშრომელს.

წითელ პროფინტერნს.
პროლეტარების
ძლე ფოძეობა;
ბნელ მხარეების
ნათელ მზეობა.

2 და 2 ნახ. ინტერნაც.
ორნი არიან,
ტოლნი არიან,
საფლავს ჩადიან
ჩაიმღერიან.

ფაშიზმს.
გახრწნა და რღვევა,
და თავის წყევა.

„სამშვიდობო“ კონფერენციებს.
განუსვენე უფალო
სულსა მიცვალებულსა;
და მონასა უვალოს
საფლავს მიჩქარებულსა.

სხვა და სხვა პარტიებს:
რაც გინახავთ—
ვეღ რ ნახავთ!
ამ ფიქრისათვის
ნუ დამძრახავთ!..

თბილისის ეკოპს.
კარაპეტა ძუნწიო.—
ყური უნდა უწიო.

რევტრიბუნალს.
სამართლიანი მსჯავრი,
თორემ მოგვივა ჯავრი.

ჩეკას.
ფრთხილად იყავ!
და თუ კიდევ
ბანდა დაიჩეკა.—
ჩუბჩიკ-ჩუბჩიკ! საიქოს!
ჩუბარიკი ჩეკა!..

ჩვენს წითელ ჯარს:
მუშათა და გლეხთა:
იყავ სადარაჯოზე!
მტერთ თავს მცემი მეხთა
მუდამ, ყოველ დროზე!..

პოლიტგანყოფილებას.
ყველგან დიდი თვალები!
მტერთ უკიდე ალები!
რათა მალე დაიწვას!
გლოვის ძაძა ჩაიცვას.

კომსომოლს.
აყვავდი და იზარდე
გზა უკვე ხსნილ-სავალით...
ჩვენს ჯარებში თქვენს წევრთა
მოწოდება მრავალით.

აგიტპროპს.
ვიდრე არსებობს სიბნელე
ისევ აგიტაცია!
რამდენიც შევხვდეს სიძნელე
ზურგით აგიტაცია!..

თენგიზ ელენტს.
მსურს კვლავ ხალხს უდარაჯო
გინდ დარჩე უფარაჯო

გ. მარქაროვს.
გამოიარე ბევ[illegible]
მარა კვლავ [illegible]

გ აზ. „წითელ არმიელს“
საგუშაგოთ, კალამ[illegible]
მნათობო ცხრათვალა

რედაქტორს.
და ცეცხლის ხმებზე!
წითელ ფანქარით!
ჩანგის სიმებზე
ბრძოლა მძლავრ ქარით!

თანამშრომლებს.
ლოდინი გონორარის!
ვინ იცის: როგორ არის?!

სამხკორებს.
სულ ძილი, ძილი?!
არ არის ტკბილი...

სამხედრო სტამბას.
პავლე სამხკომ, და შენც გამგევ!
—არ გეგონოთ წუნი დაგდევ.
კარგია თქვენი ეგ სტამბა.
რომ წაუცხოთ თეთრი „ალბა“

ასოთ ამწყობებს.
გვიანი მასალები!
არა გვყოფნის ძალები!
ხანდახან ჯიუტები,
როგორც პატარძლები!..

მემანქანეებს:
გვიან იძლევიან ნაბორ?—
მანქანა მოგიძღვნის ამბორს.
აბა ჩემო მანქანაო,
ნუ-და ხვნეში მაქანაო.

კორექტორს.
კორექტურა! კორექტურა!
მსურს იცოდე არის თუ რა!

დაშნას.
ყველა ზემოდ თქმულისთვის
გოზინაყი არაყი!
მზად ვარ თქვენი გულისთვის
დავათავო არაყი...

დაშნა



მესამე ლეგიონს სამხკორებს.

ამხანაგო სამხკორებო
მოგილოცავთ ახალ წელსა
წარსულ წელში ზარმაცობდით
არ ანძრევდით კალმის წვერსა

აწ გისურვებთ გამოფხიზლდეთ
ნუ დადუმდებით ყველანი
თუ შემოგაკლდეთ მოგვთხოვეთ
ქაღალდები და მელანი.

მალალი.

და ამისათ[illegible] სასოფლო მეურნეობის [illegible] მდგომარეობას უდიდესი გავლენა აქვს რესპუბლიკის მთლიან ეკონომიკაზე.

სამოქალაქო ომის დროს საბ. ხელისუფლება სასოფლო მეურნეობას მიუდგებოდა ხოლმე იმ გვარივე სტრატეგიული თვალსაზრისით, როგორც მრეწველობას. მაშინდელი უმთავრესი ლოზუნგი იყო: **ყველაფერი ფრონტისათვის.**

ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა მუშათა მთავრობა, როდესაც გაწერის საშუალებით დაიწყო სასოფლო, სამეურნეო წარმოების პროდუქტების აკრეფა.

გაწერის სისტემა ცხადია არ იყო წვრილ ბურჟუაზიულ მწარმოებელ გლეხების სას. მეურნეობის აღდგენისაკენ მიმართული, არამედ უმთავრესი მიზანი ჰქონდა მას სამხედრო ფრონტის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, თუნდაც სასოფლო მეურნეობის დროებითი განადგურებით. ეს იყო აუცილებელი საშუალებანი სამხედრო კომუნიზმის დროს, მუშათა მთავრობის მიერ წარმოებული პროლეტარულ ხელისუფლების დაცვის მიზნით.

გაწერის სისტემით სახელმწიფო გლეხებს უტოვებდა მინიმუმ პროდუქტებს არსებობისათვის, ხოლო დანარჩენს კი სრულიად უფასოთ ართმევდა.

ასეთი საშუალებით გადასახადის მოკრებას მესაკუთრეობრივი ინსტინქტის მქონე გლეხობა სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა და აქა იქ აჯანყებებსაც კი უწყობდა მუშათა ხელისუფლებას. მთავრობა იძულებული იყო მათ მიმართ საშინელი რეპრესიებით და წყო ბრძოლა. ქალაქისა და სოფლის ერთი მეორისადმი ასეთ მტრულ განწყობილებაში ყოფნა ბევრად ხელს უშლიდა რევოლიუციის განვითარებას, მაგრამ რევოლიუციონურ პროლეტარიატ-ს ფოლადისებურმა ნებისყოფამ და ამტანიანობამ დასძლია ყოველივე დაბრკოლებებს.

1918—20 წლების პირველ მეოთხედში სასოფლო სამეურნეო პროდუქტების აკრეფა გაწერითი სისტემის საშუალებით მოხდა განზრახულ რაოდენობის 18 პროცენტი. 1921 წ.—38 პროც. ხოლო 1922 წ. პირველ მეოთხედში კი 67 პროც.

1921 და განსაკუთრებით კი 1922 წლიდან სოფლად ტარდება ახალი ეკონომიური პოლიტიკა. ახალი ეკონომიური პოლიტიკის მეოხებით გლეხს სახელმწიფო, სასურსათო გადასახადის სახით, ართმევს მისი ნაწარმოების მეტად მცირე პროცენტს. უმთავრეს ნაწილს გლეხი რეალიზაციას უშვებს თავისუფალ ბაზარზე ისე, როგორც სურს.

ვინაიდან სახელმწიფო დაინტერესებულია სასოფლო მეურნეობის აღდგენა-განვითარებაში, ამისათვის ის უწევს მას ხელმძღვანელობას და ეხმარება შეძლებისდაგვარათ. მაგალითად 1922 წლის განმავლობაში საბჭოთა მთავრობამ გაიღო სასოფლო მეურნეობის საჭიროებისათვის უამრავი საწარმოო იარაღები, 350 მილიონი მანეთი. ოქროთი საზღვარ გარეთ შეიძინა სასოფლო სამეურნეო იარაღები და ნიადაგის განოყიერებელი მასალები 20 მილიონი მანეთის ოქროთი.

ამას გარდა სახელმწიფო აწყობს სამაგალითო საცდელ მიდვრებს და ეწევა გამოცდილ აგრონომების საშუალებით პროპაგანდას, რომ გლეხებმა დაიწყონ წარმოებისათვის საჭირო ინტენსიური კულტურა.

სახელმწიფო ხელს უწყობს და ეხმარება სასოფლო სამეურნეო წარმოებითი კოოპერატივების და ამხანაგობათა დაარსებას. უმთავრესად ღარიბ გლეხების მეურნეობის მოღონიერებისათვის იძლევა სპეციალურ კრედიტებს.

სამოქალაქო ომის დროს მეტად შემცირდა მეჯოგეობა, რეკვიზიციების, საზამთრო საკვების უქონლობის გამო. საქონლის რიცხვი ომამდე არსებულ რიცხვთან შედარებით შემცირდა 40 პროც, ხოლო გაუვე[illegible]აკან დაზიანებულ ადგილებში კი დაეცა საქონლის რაოდენობა ომამდე არსებულ რიცხვის 25—13 პროც-ამდის.

ცხვრის მოშენება განსაკუთრებით წვრილფეხიანის, ძლიერ შემცირდა და ამისათვის წარმოების საჭიროებისათვის სახელმწიფომ გარეთ შეიძინა 300. 000 ფური [illegible].

ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში საბჭოთა მთავრობა იმარობს ყოველგვარ საშუალებებს, რომ სასოფლო მეურნეობა ფეხზე დადგეს და ჩქარის ტემპით განვითარდეს.

სახელმწიფოს განსაკუთრებულმა მზრუნველობამ და ხელმძღვანელობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო: სასოფლო მეურნეობის წარმოებითი უნარიანობა წელს, შარშანდელთან შედარებით, სამჯერ გადიდდა.

რომ გაუკეთესდეს სასოფლო მეურნეობას ნათქვამს, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა სასოფლო მეურნეობას აჯანსაღებს და ქმნის შესაფერ პირობებს მისი სწრაფი განვითარებისათვის.

ვაჭრობა.

პროლეტარულ სახელმწიფომ აიღო თავის თავზე საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. სცდილობს მსოფლიო ბაზრებთან ვაჭრობა თვით აწარმოოს და შინაურ ბაზარზე კი სახელმწიფოებრივი ეკონომიური და სავაჭრო ორგანიზაციების საშუალებით სცდილობს ხელმძღვანელობა თვით იღოს ხელში. აქ ხდება უსისხლო, მაგრამ გაუთავებელი ეკონომიურ ბრძოლა კერძო კაპიტალსა და სახელმწიფოებრივ კაპიტალს შორის. პროლეტარული სახელმწიფოებრივი ვაჭრობა ჯერ ჯერობით ვერ სდგას სასურველ ნიადაგზე და ხშირად მას კერძო კაპიტალი სჯობია, ხოლმე, მაგრამ რაც დრო მიდის პროლეტარული სახელმწიფოებრივი ვაჭრობა ძლიერდება და საგარეო და საშინაო ვაჭრობის ხელმძღვანელი ხდება.

ფინანსიური პოლიტიკა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებისთანავე საჭირო შეიქმნა შესაფერი ფინანსიური პოლიტიკის წარმოება.

სამხედრო კომუნიზმის დროს თუ სახელმწიფო არსებობდა განსაკუთრებით, ფასიების შემწეობით, ეხლა სახელმწიფო უდიდეს ყურადღებას აქცევს გადასახადების შეკრებას სურსათისა და ფულის ნიშნების სახით.

რუსეთის საშინელი შიმშილობის დროს სახელმწიფოს დასჭირდა მათი დახმარებისათვის უდიდესი რესურსების გაღება და ამას გამო ემისიის გამოშვებამ იმატა, რას შედეგათ ფულის კურსი მეტად დაეცა.

ეხლა, როდესაც მოსავალი ძვირფასია და მრეწველობაც თანდათან აღდგენის პროცესში შეიჭრა, ჩვენი ფულის კურსიც მაგრდება.

რამდენი დრო გაივლის ჩვენი ფულის კურსი აწი [illegible] მისი ფასიც თანდათან [illegible].

დასკვნა.

მას შემდეგ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ შინაური და გარეშე მტრები იარაღით ხელში დაამარცხა, მოიხსნა სამხედრო ფრონტები და შეიქმნა შესაძლებლობა მშვიდობიან პირობებში სამეურნეო ფრონტზე მუშაობისა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა, წარმოებული საბჭოთა მთავრობის მიერ, არის საუკეთესო საშუალება, არსებულ სოციალურ ძალთა ურთიერთობაში, მეურნეობის აღდგენისა და კომუნისტური აღმშენებლობის საუკეთესო ნიადაგის მომზადებისათვის.

სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის დაარსება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ეკონომიური აღმშენებლობის განვითარებას.

მსოფლიო ბურჟუაზია თავის დანგრეულ მეურნეობის აღდგენას სცდილობს კაპიტალისტური მეთოდით, მაგრამ რაც დრო გადის მით უფრო რთულდება მდგომარეობა და იმის საკითხი ცხოვრებით მიერ მათი ბატონობის ყოფნა არყოფნისა.

საბჭოთა მეურნეობა კი ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში დღითდღე ძლიერდება, განვითარების პროცესში შეიჭრა და მისი აღდგენის საქმე აუცილებლად სრული გამარჯვებით დაგვირგვინდება.

პ. ხ.

ნ. დ. ს. ც.
ტირაჟი 1 500
პასუხისმგებელი [illegible]